ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დანართი №5

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერია"**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სახე მისი მისიიდან გამომდინარე იქნება:

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულების სურვილია განახორციელოს:

☐ პირველი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეორე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

■ **მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;**

☐ მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

☐ სხვა საგანმანათლებლო პროგრამა (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე: **ქეთევან გელაშვილი**
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი: **ვანო ოთხოზორია**

II. დაწესებულების მისია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერიას" მისიაა "ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და წინსვლას, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სტუდენტს ჩამოუყალიბოს პროფესიული უნარ–ჩვევები და ბაზარს მიაწოდოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრი; შექმნას შესაბამისი პირობები პროფესიის მაღალ დონეზე დაუფლებისათვის, დაეხმაროს მაძიებელს პროფესიის სწორად შერჩევაში, შედეგზე ორიენტირებულ სწავლასა და კარიერული განვითარების გზების ძიებაში; განუწყვეტლივ იზრუნოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების მაღალი ხარისხის მიღწევაზე; იყოს კონკურენტუნარიანი ქვეყნის განვითარების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, აითვისოს ახალი პროფესიები და შეიმუშავოს შესაბამისი პროგრამები."

I. სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შეფასება:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი იბერია არის ავტორიზებული კოლეჯი, რომელსაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 23 სექტემბრის #28 გადაწყვეტილებით მიენიჭა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და განესაზღვრა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა1160 სტუდენტის ოდენობით. დაწესებულებამ ავტორიზაციისთვის წარმოადგინა 2017 წლის 29 ივლისის #249 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი" და 2017 წლის 22 აგვისტოს #270 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა - "ინფორმაციის ტექნოლოგია". პროგრამები შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2017 წლის 29 ივნისის #138 ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის" საფუძველზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები შედგება ჩარჩო დოკუმენტისა და მოდულების მოდიფიცირებული ვერსიებისგან. პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, პროგრამის მიზნები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, პროგრამის ხანგრძლივობა, სტუდენტთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლის შედეგები. წარმოდგენილია მოდულების ჩამონათვალი (სავალდებულო ზოგადი, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა, მოდულების განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია (სახელი, გვარი, მოდულის სახელწოდება, კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება) ორივე პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, მათი თანმიმდევრობა ასახულია სასწავლო გეგმებში. თანდართულ სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია დაშვების წინაპირობები და სტუდენტთა კვირეული დატვირთვა 30-40 სთ (არაუმეტეს 40 საათისა). გეგმაში გათვალისწინებულია მოდულების პარალელურ რეჟიმში განხორციელება. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის #121/ნ ბრძანებით დამტკიცებული "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების წესის " მუხლი 4 [1] "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების შემთხვევაში" და ასევე, შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებითა და მოდულებით.

პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის (გაცნობითი პრაქტიკის მოდული, პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა) განხორციელების მიზნით გაფორმებულია მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

ინფორმაციის ტექნოლოგია

- შპს. პოლიგრაფი - 08.08.2017 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 6 წელი)
- ააიპ ქუთაისის განვითარების და დასაქმების ცენტრი - 22.06.2016 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 3 წელი)
- SOS ბავშვთა სოფელი "ქუთაისი" - 19.19.2019 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 3 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი

- შპს. "ავტოტრანსპორტი 91" - 17.05.2016 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 5 წელი)
- ქ. ქუთაისის მეცნიერთა და ტექნიკოსთა კავშირი - 17.05.2016 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 5 წელი)
- შპს. ენეგოპრო ჯორჯია - 01.07.2016 (მემორანდუმის მოქმედების ვადა 5 წელი)

ვიზიტის დროს ექსპერტები იმყოფებოდნენ პრაქტიკის ობიექტებზე, მათ შორის შპს. "ავტოტრანსპორტი 91"-ში, შპს. პოლიგრაფში, ააიპ ქუთაისის განვითარებისა და დასაქმების ცენტრში და გაესაუბრნენ პრაქტიკის ხელმძღვანელ პირებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	*ინფორმაციის ტექნოლოგია*	მესამე	მესამე საფეხურის კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	60
2	*დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი*	მესამე	დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	104

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

კოლეჯს "დაბალი ძაბვის ელექტრიკოსისა" და "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამებზე მოთხოვნილი აქვს სტუდენტთა წლიური ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტი (15 საშემოდგომო, 15 - საგაზაფხულო მიღებისთვის).

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებებით
- პროფესიული პროგრამით და მოდულებით
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით
- დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მენეჯერთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებით
- პრაქტიკის ობიექტების დათვალიერებით

1.1. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

შეფასება:
დაწესებულებას აქვს კატალოგი, რომელიც წარმოდგენილია როგორც მატერიალური სახით, ისე ატვირთულია ვებგვერდზე. კატალოგი დამტკიცებულია # 144 2016 წლის 29 ივნისის დირექტორის ბრძანებით. კატალოგში მოცემულია პროგრამების ჩამონათვალი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაშვების წინაპირობა, პროგრამების ხანგრძლივობა, სტუდენტთა კარიერული შესაძლებლობები, შეფასების წესი.

ექსპერტებმა შენიშნეს, რომ კატალოგში მოდულური პროგრამების ჩამონათვალში დარჩენილია მექანიკური ხასიათის შეცდომა, შესაცვლელია პროგრამის სახელწოდება (ნაცვლად "ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტისა" უნდა იყოს "ინფორმაციის ტექნოლოგია") და კრედიტების რაოდენობა. იგივე ვერსია ატვირთულია ვებ-გვერდზე. მიეცათ რეკომენდაცია, რომ შეასწორონ.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებით
- კატალოგით
- ვებგვერდით http://iberias.ge/uploads/files/749%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98017.pdf

1.2. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

შეფასება:
სწავლის შედეგები შეესაბამება წარმოდგენილ დოკუმენტებს შეესაბამება, კერძოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

ინფორმაციის ტექნოლოგია - 101123

დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი - 071023

უნდა აღინიშნოს, რომ განაცხადის შემოტანის დროს მოქმედებდა "დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის" ის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მოდიფიცირებული ვერსიაც წარმოადგინა კოლეჯმა და რომელთან შესაბამისობაც შემოწმდა ექსპერტების მიერ. თუმცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის #540 24.08.2017 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება 11. 08.2017. # 489 ბრძანებაში "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ", რის შედეგადაც დამტკიცდა "ელექტროობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ჩარჩო დოკუმენტი.

აღნიშნულის საფუძველზე დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ცვლილებები პროგრამაში სწავლის დაწყებამდე (სტუდენტთა ნაკადის მიღებამდე) და წერილობით აცნობოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დასტურდება:

- პროგრამებით
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი წარმოდგენილი პროგრამების შედარებით ჩარჩო დოკუმენტებთან.

1.3. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

საზოგადოებრივი კოლეჯის ადმინისტრაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 3 თებერვლის №9/ნ ბრძანების მე-3 და მე-6 მუხლების შესაბამისად შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კოლეჯში სტუდენტთა ჩარიცხვის პროცედურა და ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა; შიგა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და შრომის შინაგანაწესის საფუძველზე რეგულირდება სტუდენტის სტატუსის შეჩერება-შეწყვეტა, მობილობა და არაფორმალური განათლების აღიარება.

კერძოდ კი, დირექტორის # 149 29.06.2016 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის "შრომის შინაგანაწესის" #143 29.06.2016 წლის ბრძანებით დამტკიცებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესისა და #137 29.06.2016 "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" საფუძველზე

დასტურდება:

ბრძანებებით

დოკუმენტით"შრომის შინაგანაწესი"

დოკუმენტით "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"

დოკუმენტით "არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი"

1.4. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში საზოგადოებრივი კოლეჯის დირექცია, შეთანხმების საფუძველზე, უზრუნველყოფს სტუდენტის გადაყვანას მსგავსი პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო დაწესებულებაში ან გადაყავს მილევად რეჟიმში, როცა კოლეჯი აუქმებს ან ცვლის თავის პროგრამას. აღნიშნული პროცედურები გაწერილია #137 29.06.2016 წ. ბრძანებით დამტკიცებულ "სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში", დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ დაწესებულებებთან:

- მართვის საინფორმაციო სისტემა - 30.06.2016
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა 06.06.2016
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი"გლადნის პროფესიული მომზადების ცენტრი" 14.06.2016
- შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 14.06.2016
- სსიპ პროფესიული კოლეჯი "ლაკადა" 20.06.2014
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი 14.06.2016

დასტურდება:

- დოკუმენტით"სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"
- დირექტორის ბრძანებით
- მემორანდუმებით

1.5. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

შეფასება:
დაწესებულებას დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის #146 ბრძანებით შემუშავებული აქვს ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი", ასევე შემუშავებული აქვს კითხვარები სტუდენტებისთვის, კურდამთავრებულთათვის და მასწავლებლებისთვის.

დასტურდება:

- ბრძანებით
- კითხვარებით

1.6. ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

დაწესებულება აკმაყოფილებს პირველი სტანდარტის ყველა ქვესტანდარტს

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:
შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ სარგებლობის წესით სხვადასხვა მისამართების მიხედვით გადმოცემული აქვს შენობა ნაგებობები საერთო ფართით 14472,14 კვმ, აქედან ქ. ქუთაისში ზ.ანჯაფარძის N 61 ში მდებარე შენობა ნაგებობებს, საერთო ფართით 3611,73 კვმ, უტარდება ადაპტირებული გარემოს უნივერსალური დიზაინის შესაბამისი რემონტი (სარემონტო სამუშოები დღემდე შეჩერებულია), რის გამოც კოლეჯი სარგებლობს ქ.ქუთაისში ნიკეას ქ. N 12-ში იჯარის წესით ნაქირავები ფართით - 3200 კვ მ. ამავე მისამართზეა განთავსებული ორივე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო A, B და C გარემო.

საკადასტრო კოდი - [redacted]

პროგრამების განხორციელების ადგილის საერთო ფართის ოდენობა მისამართის მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ნიკეას #12	3200 კვ.მ

დასტურდება:

2014 წ რეგისტრირებული განცხადება საჯარო რეესტრიდან

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

შეფასება:

სათანადო ინვენტარით აღჭურვილია შემდეგი ფართი

"ინფორმაციის ტექნოლოგისთვის" ერთი ოთახი ფართით 50 კვ.მ, რომელიც ასრულებს A და B გარემოს ფუნქციას. ოთახი უზრუნველყოფილია 15 სტუდენტისთვის სკამით, მაგიდითა და პერსონალური კომპიუტერით. ოთახში დგას მაგიდა, სკამი და კომპიუტერი პედაგოგისთვის. ასევე ერთი მაგიდა კომპიუტერის დაშლა-აწყობის სადემონსტრაციოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

"დაბალი ძაბვის ელექტრიკოსისთვის" გამოყოფილია ერთი ოთახი 60 კვ.მ., რომელიც ასევე ასრულებს A და C გარემოს ფუნქციებს, აღჭურვილია 15 ერთადგილიანი მაგიდითა და სკამით. პედაგოგის მაგიდითა და სკამით, სადემონსტრაციო საშუალებებით და მოდულებში მითითებული სხვა ტექნიკური აღჭურვილობით.

ვიზიტისას ექსპერტებმა შენიშნეს, რომ დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის პროფესიული მოდულები C გარემოში მოითხოვს ტემპერატურულ რეჟიმს 20-23 გრადუსი, რომელიც ზაფხულის პერიოდში არ არის დაკმაყოფილებული. ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფითვის საჭიროა შესაბამისი აპარატურის მონტაჟი. დაწესებულებას გაკეთებული აქვს აპარატურის შეკვეთა და მიღებული აქვს ზეპირი თანხმობა აპარატურით უზრუნველყოფის შესახებ.

*ვიზიტის პერიოდში მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის შემოწმებისას დაბალი ძაბვის ელექტრიკოსის სახელოსნოში არ აღმოჩნდა რამდენიმე ხელსაწყო. კერძოდ კი, შიგა ზომის მიკრომეტრი, გარე ზომის მიკრომეტრი, ვიდეოდომოფონი, ელექტროშტანგერი, ელექტროდრელე #Да 1.14 4A "Maxtex", იზოლენტა 19მმ*25მ. ვიდეოდომოფონის შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ მისი ფუნქციის შესრულება შეუძლია სადენიან და უსადენო ზარის მოწყობილობებს, ასევე ციფრულ შტანგენფარგალს შეუძლია შეასრულოს შიგა ზომის მიკრომეტრის და გარე ზომის მიკრომეტრის ფუნქციები. აღნიშნული ინფორმაცია ექსპერტების მიერ გადამოწმდა დარგის სხვა სპეციალისტებთანაც. ხოლო ხელსაწყოები: ელექტრო შტანგერი, ელექტრო დრელე #Да 1.14 4A "Maxtex", იზოლენტა 19მმ*25მ, შეძენილ იქნა ვიზიტის პერიოდში.*

დასტურდება:

- საიჯარო ხელშეკრულებით
- მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

- ვიზუალური დათვალიერებით
- შეკვეთის შესახებ წერილით (დანართი 1)
- შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (დანართი 2)

2.1. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

შეფასება:
დაწესებულებაში არის საგანმანათებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გათბობის საშუალებები.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით

2.2. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

კოლეჯს აქვს სათანადო საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, როგორც ბეჭდური ისე ელექტონული ფორმით. ექსპერტებმა შეამოწმეს ორივე პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა და დაადგინეს ყველა მათგანის არსებობა. ნაწილი არსებობს ბეჭდური, ნაწილი კი ელექტრონული სახით ჩაწერილი დისკებზე.

დასტურდება:
მოდულებში მითითებული ბეჭდური და ელექტრონული რესურსების ბიბლიოთეკაში არსებულ რესურსებთან შედარებით

2.3. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

შეფასება:
სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია" აღჭურვილია ქსელური მოწყობილობებით, (ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eflow) მარშრუტიზატორი, კომუტატორები, უსადენო წვდომის წერტილები და სხვ.), რომელიც გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

დასტურდება:
ვიზუალური დათვალიერებით

2.4. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

შეფასება:
სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია" დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივ-ადმინისტრაციული აქტები ტარდება ბრძანების სარეგისტრაციო ჟურნალში, იტვირთება ელეტრონულად eflow-ს სისტემაში და გადაეგზავნება შესაბამის ადრესატს. შემოსული კორესპონდენციების მიღება ხდება როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე მატერიალურად (ფოსტა). მატერიალურად შემოსული დოკუმენტები იტვირთება eflow-ს სისტემაში და შესაბამის ადრესატზე გადაგზავნას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი. გასული კორესპოდენცია მზადდება შესაბამისი სამსახურების მიერ და ელექტრონული ფორმით გადაეგზავნება ადრესატს, როგორც ელექტრონულად, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მატერიალურად.

დასტურდება:
სარეგისტრაციო ჟურნალით
2.5. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____ ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულებაში დაცულია სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების სისტემა. შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. დირექტორის #145, 29 ივნისი, 2016 ბრძანების "ხანძარსაწინაარმდეგო უსაფრთხოების მექანიზმების დამტკიცების შესახებ" საფუძველზე კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სტენდებით და ცეცხლმაქრებით, რომელიც დამონტაჟებულია კიბის უჯრედებში და სახელოსნოებში. თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა სართულების მიხედვით და უსაფრთხოების პლაკატები. დირექტორის ბრძანება #139, 29 ივნისი, 2016 "სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების" შესახებ საფუძველზე კოლეჯში არსებობს სამედიცინო ოთახი, სადაც შესაძლებელია პირველადი დახმარების აღმოჩენა. შემუშავებულია წესრიგის დაცვის მექანიზმები.

დასტურდება:

- დირექტორის ბრძანებებით
- მიღება-ჩაბარების აქტებით
- ვიზუალური დათვალიერებით

2.6. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

შეფასება:

კოლეჯში არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო, მათ შორის: სველი წერტილები სტანდარტის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

კარითა და სველ წერტილებში არსებული დასაყრდნობი სახელურებით, შენობაში ასასვლელ და შიდა კიბეებზე დამონტაჟებულია ლითონის პანდუსები.

დასტურდება:

ვიზუალური დათვალიერებით

2.7. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

შეფასება:

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯს „იბერია" გააჩნია ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტაციისა და პედაგოგიური პერსონალის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ნორმატიული აქტები. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

დასტურდება:

ვებგვერდით www. iberias.ge

2.8. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

შეფასება:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი გეგმები, სადაც გაკეთებულია ჩანაწერი ახალი მოდულური პროგრამების დამატებისთვის მომზადების შესახებ.

დასტურდება:
ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით
2.9. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

დაწესებულება აკმაყოფილებს მე-2 სტანდარტის ყველა ქვესტანდარტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

შეფასება:
კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება #142, 29 ივნისი, 2016 "თანამდებობრივი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" და ასევე ბრძ. 140, 29 ივნისი, 2016 ადამიანური რესურსების მართვის წესის დამტკიცების შესახებ.
ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ თანამდებობებს.

დასტურდება:

- ბრძანებებით
- პედაგოგების პირადი საქმეებით

3.1. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

შეფასება:

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

თითოეულ პროგრამაზე პროგრამის განმახორციელებელ პედაგოგთა რაოდენობა შეადგენს:
"დაბალი ძაბვის ელექტრიკოსი" - 24 პედაგოგი
"ინფორმაციის ტექნოლოგია" - 24 პედაგოგი

დასტურდება:
პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგების ჩამონათვალით
პირადი საქმეებით
დირექტორის ბრძანებებით
3.2. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

შეფასება:
კოლეჯში სწავლობს 588 სტუდენტი და დასაქმებულია 80 პედაგოგი.
თანაფარდობა 588/80=7.35

3.3. **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

პროფესიული განათლების პროგრამების მასწავლებლების მიღება ხორციელდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____
_____

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

საკონკურსო შერჩევით. მასწავლებლების დანიშვნა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წერილობითი შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ექსპერტების მიერ აღნიშნული საკითხის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ პედაგოგებთან არ არის გაფორმებული წინარე შრომითი ხელშეკრულებები აღნიშნული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით.
მიმდინარე და უკვე დასრულებული პროგრამების პედაგოგებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ხელშეკრულების მოქმედების ვადად დიდ ნაწილში მითითებულია "სასწავლო პროცესის ამოწურვამდე", ხოლო გამოცემული ბრძანებით (დანართი 3), მითითებულია მათ მიერ ასათვისებელი საათების რაოდენობა. ვინაიდან ზოგიერთი ხელშეკრულება დათარიღებულია 2011, 2014 წლებით, აღნიშნული საათების რაოდენობაც არ არის შესაბამისობაში ხელშეკრულებებთან. (დანართი 4)

დასტურდება:

დანართებით

3.4. ქვესტანდარტი დარღვეულია

კოლეჯს "დაბალი ძაბვის ელექტრიკოსისა" და "ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროგრამებზე მოთხოვნილი აქვს სტუდენტთა წლიური ზღვრული რაოდენობა 30 სტუდენტის ოდენობით (15 საშემოდგომო, 15 - საგაზაფხულო მიღებისთვის) თითო პროგრამაზე. ექსპერტების მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად, სასწავლო და პრაქტიკის ობიექტების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმების, ადამიანური რესურსის შესახებ ინფორომაციის გადამოწმების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის გზით ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი და შეუძლია მის მიერ ორივე პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მიღება.

დაწესებულება აკმაყოფილებს მე-3 სტანდარტის ყველა ქვესტანდარტს გარდა 3.4-სა

IV. **თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1
დანართი 2
დანართი 3
დანართი 4

თბილისი 1 სექტემბერი, 2017 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბ.ა.